



ორგანიზებული დანაშაული

- ორგანიზებული დანაშაული კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში ფორმაა.
- ორგანიზებულ დანაშაულს გააჩნია სხვადასხვა გამოვლინება, როგორცაა ადამიანის ან ქონების გატაცება მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ნარკოტიკებით, ცეცხლსასროლი იარაღით, ფეთქებადი ნივთიერებებითა და ანტიკვარული ნივთებით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითობა. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ასევე ჩართულია კორუფციასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში (ფულის გათეთრება).
- „ქურდული სამყარო“ ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს დანაშაულებრივ სხვადასხვა საქმიანობას და საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს მუქარას, დაშინებას, იძულებასა და „ქურდულ გარჩევებს.“
- ორგანიზებული დანაშაულის განვითარებას ხელს უწყობს საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა. ამ მხრივ, საზოგადოების ყველაზე დაუცვლი ნაწილი მოზარდები და სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ადვილად შეიძლება მოექცნენ კრიმინალური „ავტორიტეტებისა“ და ზოგადად, კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ.

სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები და შედეგები

- დღეისთვის ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები. სახელმწიფოს მიერ აღნიშნული მიმართულებით გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე დაწესდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ე.წ. „კანონიერი ქურდობისა“ და რეკეტისთვის ისევე, როგორც „ქურდული სამყაროსა“ და რეკეტული დაჯგუფების წევრობისთვის.
- საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება ექვემდებარება ჩამორთმევას და მისი კანონიერი მფლობელისთვის გადაცემას.
- „კანონიერი ქურდების“ უდიდესმა ნაწილმა დატოვა საქართველო. დარჩენილი მცირე ნაწილი საპატიმროში იმყოფება და პრევენციული მიზნებისთვის იზოლირებულია სხვა პატიმრებისგან. შესაბამისად, მათ არ ეძლევათ კრიმინალური სამყაროს მართვის შესაძლებლობა.
- „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ მიზანმიმართული და ეფექტური ბრძოლის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ორგანიზებული დანაშაულის სიხშირე.





რატომ არის საჭირო თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან

- „ქურდულ სამყაროსა“ და ორგანიზებულ დანაშაულებრივ სხვა ჯგუფთან კავშირის დამყარების შემთხვევაში თქვენ გახდებით გამოძალვის, კრიმინალურ საქმიანობაში იძულებით ჩაბმის, ძალადობის მსხვერპლი.
- „ქურდული სამყაროს“ წესებით ცხოვრებითა და ორგანიზებულ დანაშაულში ჩაბმით თქვენ აღმოჩნდებით იქ, სადაც გადარჩენის ერთადერთ გზას მხოლოდ აგრესია წარმოადგენს, სადაც წყდება თქვენი, როგორც ინდივიდის და როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის, განვითარების პროცესი.
- „ქურდული სამყაროს“ წესებით ცხოვრება არ არის მისაბამი და სასურველი. ის შეცვლის ჯანსაღ ღირებულებებს და საზოგადოების დადებით დამოკიდებულებას თქვენს მიმართ.
- ორგანიზებულ დანაშაულში ჩაბმის შემთხვევაში დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ საზოგადოების წევრობისა და დაკარგული ნდობის აღსადგენად.
- გახსოვდეთ, რომ სახელმწიფო თქვენს გვერდით არის: ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევებში აუცილებელია სამართალდამცავ სტრუქტურებთან დროული თანამშრომლობა.
- ორგანიზებული დანაშაულის მსხვერპლთა, მოწმეთა, სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრთა უსაფრთხოება დაცულია კანონმდებლობით.



ორგანიზებული დანაშაულის წევრობას თან სდევს უარყოფითი შედეგები:

- ინდივიდი რისკის ქვეშ აყენებს პირად თავისუფლებას და განვითარებას.
- ოჯახი განიცდის რღვევას და მომავალი ბუნდოვანია.
- საზოგადოება დისტანცირებას ახდენს აღნიშნული პირებისადმი. ორგანიზებული დანაშაული საფრთხეს უქმნის საზოგადოების კეთილდღეობას.
- ორგანიზებული დანაშაული ასუსტებს სახელმწიფოს, აფერხებს მის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

საკონტაქტო ინფორმაცია:

24 საათიანი უფასო ცხელი ხაზი - 112

საქართველო, თბილისი, 0190

კახეთის გზატკეცილის 38-ე კილომეტრი



